



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავილაძე ოთარ პავლეს ძე

კავილაძე ოთარ პავლეს ძე (27. I. 1919, თბილისი, – 17. X. 1994, იქვე), პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1973), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). 1940 დაამთავრა თსსი. 1941 საბჭოთა არმიაში იყო ლეგიონის სანიტ. სამსახურის უფროსი. 1946–50 მუშაობდა ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის გამგედ. 1950–67 კვლავ საბჭოთა არმიის რიგებშია. 1967– 72 იყო საქართვე. ჯანდაცვის სამინისტროს მეცნ. და სამედ. სასწავლებლების მთ. სამმართველოს უფროსის მოადგილე, 1972–74 – უფროსი. მუშაობდა საქართვე. მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტის მედ. და საბუნებისმეტყველო მეცნ. განყ-ბის (1974–78), შემდეგ – ამავე კომიტეტის სამეცნ.-საორგანიზაციო განყ-ბის უფროსად (1978–93).

კ. იკვლევდა ადამიანის პარაზიტულ დაავადებებს, მიღწეული შედეგების სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვამ ხელი შეუწყო სამხრ. კავკასიის ტერიტ-ზე მთელ რიგ ინფექციურ, მ. შ. პარაზიტულ და ტროპიკულ სნეულებათა ლიკვიდაციას ან მკვეთრ შემცირებას.

თხზ.: ეპიდემიოლოგია (სახელმძღვანელო საშ. სამედ. პერსონალისათვის), თბ., 1981 (თანაავტ. თ. კერესელიძე); К изучению очагов Кавказского клещевого возвратного тифа на территории ЗакВО, «Сборник научных трудов ВМО ЗакВО», Тб., 1960; Организация противоэпидемических мероприятий по холере и чуме в условиях Закавказья, Тб., 1978.
